

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

15.02.2017 წელი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N27

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების
სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების
ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუქცია.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება გადაიგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართზე: ზუგდიდი, რ.ლალიძის ქ. N12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა
და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუქცია**

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუქცია განსაზღვრავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დამატებით პროცედურებს.
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე ინიციატივის წარდგენაზე აგრეთვე უფლებამოსილია კონკრეტულ ქუჩაზე ან/და კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ სრულწლოვან მოქალაქეთა 70%.
3. გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილ ინიციატივას აგრეთვე უნდა ერთოდეს:
 - ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მიერ წარდგენილი ინიციატივის შემთხვევაში, ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები), ხელმოწერა). ინიციატივა შესაძლებელია განცხადების სახით წარმოდგენილ იქნას წარმომადგენლის მეშვეობით;
 - ბ) დასახლების საერთო კრების ოქმი;
 - გ) გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ წარდგენილ ინიციატივაში სასურველია მითითებული იყოს, მიმართვის ავტორის აზრით, თუ რომელ ობიექტს რა სახელწოდება უნდა მიენიჭოს. მიმართვა უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული განცხადებისათვის საჭირო მოთხოვნებს.
4. გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ შესაბამისი ინიციატივა წარედგინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
5. სახელდებასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულ წერილობით მომართვას განხილავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (შემდგომში – კომისია).
6. კომისია ვალდებულია გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების, ძველი სახელწოდების აღდგენის ან გადარქმევის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე სათანადო ოქმის გაფორმებით აცნობოს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას.
7. საკრებულოს კომისიაში სათანაბრო ხმის უფლებით მონაწილეობენ და კომისიაში შესაბამის რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს უწევენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, ასევე საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებების, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, აგრეთვე გეოგრაფიული ობიექტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა წარმომადგენელი (წარმომადგენლობა დადასტურებულ უნდა იქნეს ტერიტორიაზე მცხოვრებთა არანაკლებ 20 პირის ხელმოწერით) დასახლების საერთო კრების რჩეული, რომლებსაც საკრებულოს კომისიაში სამუშაოდ, ანაზღაურების გარეშე, მათივე თანხმობით მოიწვევს კომისია.
8. კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე.
9. დასკვნა გასაცნობად გადაეცემა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.
10. კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის მიღების, ასევე სამთავრობო კომისიის მიერ საკრებულოსათვის თანხმობის მიცემაზე უარის თქმის (უარყოფითი დასკვნის შედგენის)

შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს სხდომაზე საკითხის კენჭისყრის დროს იგი უარყოფითად იქნა გადაწყვეტილი, მიმართვის ავტორს ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარის წერილით.